გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №3ბ/2429-10 29 დეკემბერი, 2010წ.
თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლო
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

თავმჯდომარე ქეთევან დუგლაძე
მოსამართლეები მერაბ ლომიძე
ლეილა მამულაშვილი

სხდომის მდივანი – მიშა კირვალიძე

აპელანტი – ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"
წარმომადგენელი – ნინო გუჯარაიძე, ირმა მახათაძე
–
მოწინააღმდეგე მხარე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
წარმომადგენელი – სოფიო ახალაძე

მესამე პირები – საქართველოს მთავრობა, წარმომადგენელი ირაკლი კოპალიანი, ქ. თბილისის მთავრობა,წარმომადგენელი შალომე ბარბაქაძე, შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი-ის" უფლებამონაცვლე " შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიI ლიმითედი", წარმომადგენელი ბესიკ კობერიძე

დავის საგანი – ინფორმაციის განსაიდუმლოება და საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალება;

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 09 ივლისის გადაწყვეტილება;

1. აპელანტის მოთხოვნა
გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ;

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 09 ივლისის გადაწყვეტილებით, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"-ს სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ს შორის, 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული წილის ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დანართების, ასევე 2009 წლის 22 დეკემბერს საქართველოს მთავრობის №1025 განკარგულების საფუძველზე, შპს „რუსთავწყალკანალის", შპს „მცხეთაწყალკანალის", შპს „საქწყალკანალისა" და შპს „თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის დამატებითი განმარტების, მასში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმება №1-ის განსაიდუმლოებისა და საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს მიმართ, საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალდებულების თაობაზე არ დაკმაყოფილდა;

დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

2.1. **2008 წლის 14 მაისს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედ"-ს შორის დაიდო შპს „რუსთავწყალკანალის" 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის" 100% წილის, შპს „საქწყალკანალის" 100% წილისა და შპს „თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება.**

2.2. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"-მ, 2008 წლის 28 მაისს, წერილით მიმართა საქართველოს მთავრობის კანცელარიას და მოითხოვა საქართველოს მთავრობის №325 განკარგულებით მოწონებული, საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედ"-ს შორის გაფორმებული, შპს „რუსთავწყალკანალის", შპს „მცხეთაწყალკანალის", შპს „საქწყალკანალის" და შპს „თბილისის წყალის" **100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების პროექტის მიწოდება.**

2.3. საქართველოს მთავრობის კანცელარიის, 2008 წლის 28 მაისის №24/111 წერილით ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"-ს ეცნობა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინსტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, მათი წერილი შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

2.4. **საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 16 ივნისის №21/875/1-8 წერილით, ქ. თბილისის მთავრობისგან და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედ"-ისგან, ნასყიდობის ხელშეკრულების 14.1 მუხლის შესაბამისად, გამოთხოვილ იქნა მათი მოსაზრება აღნიშნული ხელშეკრულების ქსეროასლის გაცემაზე.**

2.5. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"-მ, 2008 წლის 22 ივლისს, №04/03-116 წერილით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და ითხოვა შპს „რუსთავწყალკანალის", შპს „მცხეთაწყალკანალის", შპს „საქწყალკანალისა" და შპს „თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის თაობაზე, საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედ"-ს შორის 2008 წლის 14 **მაისს გაფორმებული ხელშეკრულების ასლი**.

2.6. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 33-ე მუხლის შესაბამისად, განმცხადებელმა **ასევე მოითხოვა დოკუმენტის იმ ნაწილის მიწოდება, რომელიც არ შეიცავდა საიდუმლო ინფორმაციას, ასევე მითითება ინფორმაციის საიდუმლოდ მიჩნევის საფუძველზე, ნორმატიულ აქტებზე, რომელთა საფუძველზეც მოხდა ინფორმაციის გასაიდუმლოება და გასაიდულოების ვადა.**

2.7. 2008 წლის 25 ნოემბერს, ანალოგიური შინაარსის №04/03-121 წერილით, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"-მ მიმართა საქართველოს მთავრობის კანცელარიას. საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2008 წლის 01 დეკემბრის პასუხში (№24/111) აღნიშნულია რომ, 2008 წლის 25 ნოემბრის წერილში

მითითებული ინფორმაცია, საქართველოს მთავრობის კანცელარიაში არ მოიპოვებოდა და აღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, მათი წერილი შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს.

2.8. 2009 წლის 16 მარტს, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ" ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და მოითხოვა, შპს „რუსთავწყალკანალის", შპს „მცხეთაწყალკანალის", შპს „საქწყალკანალის" და შპს „თბილისის წყალის" 100% წილების, შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-სათვის გადაცემის თაობაზე დადებული ხელშეკრულების კომერციულ საიდუმლოებად მიჩვევის კანონიერების შესწავლა, ხელშეკრულების დოკუმენტის საჯაროდ გახდომა და საჯარო დოკუმენტის ასლის მიწოდება.

2.9. საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2009 წლის 02 აპრილის №24/72 წერილით, მოსარჩელეს ეცნობა, რომ მისი ადმინისტრაციული საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

სადავო ფაქტობრივი გარემოებები:

2.10. 2008 წლის 14 მაისს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ს შორის დადებული ხელშეკრულებები შპს „რუსთავწყალკანალის" 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის" 100% წილის, შპს „საქწყალკანალის" 100% წილისა და შპს „თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია;

2.11. **ადმინისტრაციული ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ვალდებულებაა არცერთმა მხარემ არ გასცეს ინფორმაცია ამ ხელშეკრულების ნებისმიერი დაკავშირებული საკითხის შესახებ, სხვა მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, ხოლო მითითებული ადმინისტრაციული გარიგების ერთ-ერთი მხარე, კერძოდ შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი" არ არის თანახმა ამ ხელშეკრულების, როგორც კომერციული საიდუმლოების, გაცემაზე.**

დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

2.12. პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ" პუნქტის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია განიმარტება, როგორც ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია. ამავე ნორმის „ნ" პუნქტის თანახმად, საიდუმლო ინფორმაციას წარმოადგენს საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ, სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას.

2.13. სასამართლო კოლეგიის განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურეობის გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

2.14. ზემო აღნიშნული ნორმის საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ 2008 წლის 14 მაისს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ს შორის დადებული, შპს „რუსთავწყალკანალის" 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის" 100% წილის, შპს „საქწყალკანალის" 100% წილისა და შპს „თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დანართები, ასევე შპს „რუსთავწყალისათვის", შპს „მცხეთაწყალკანალის", შპს „საქწყალკანალის", შპს „თბილისის წყალის", 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ 2009 წლის 22 დეკემბერის შეთანხმება №1, შეიცავს კომერციულ საიდუმლოებას, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი"-ის კონკურენტუნარიანობას.
2.15. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ინფორმაციის განსაიდუმლოებისა და საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალდებულების თაობაზე დაუსაბუთებელია და არ არსებობს მათი დაკმაყოფილების სამართლებრივი წინაპირობები, ვინაიდან ინფორმაცია, რომლის გამჯღავნებასაც ითხოვს ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა" არ წარმოადგენს გარემოს დაცვით ინფორმაციას და მისი კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის გამო, არ წარმოშობს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას გასცეს ზემო აღნიშნული ინფორმაცია;

3. სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივი საფუძვლები;

აპელანტი სააპელაციო საჩივარში არ უთითებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივ საფუძვლებზე;

3.1 აპელანტის განმარტებით, ხელშეკრულების 14.1. მუხლის თანახმად, წილის ნასყიდობის ან ნებისმიერ დაკავშირებულ საკითხებზე მხარეებს წინასწარ წერილობითი თანხმობის გარეშე განცხადების გაკეთების უფლება არ გააჩნდათ; აღნიშნული ნორმის დანაწესით გათვალისწინებულია მხარეთა წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე განცხადების გაკეთების უფლების შეზღუდვა წილის ნასყიდობის ან წილის ნასყიდობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რაც არ ნიშნავს იმას, რომ მთელი ხელშეკრულება კომერციული საიდუმლოებაა;
3.2. აპელანტი სადავოდ ხდის სასამართლოს მითითებას მასზედ, რომ 2008 წლის 14 მაისს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ს შორის დადებული, შპს „რუსთავწყალკანალის" 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის" 100% წილის, შპს „საქწყალკანალის" 100% წილისა და შპს „თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დანართები, ასევე შპს „რუსთავწყალკანალის", შპს „მცხეთაწყალკანალი"-ს, შპს „საქწყალკანალი"-ს, შპს „თბილისის წყალი"-ს 100% წილის ნასყიდობის დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ 2009 წლის 22 დეკემბერის შეთანხმება №1 შეიცავს გარემოსდაცვით ინფორმაციას. აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგოდ აპელანტი მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ სარჩელზე, მხარეთა ახსნა-განმარტებაზე, შპს „რუსთავწყალკანალის" 100% წილის, სპს „მცხეთაწყალკანალი"-ს 100% წილის, შპს „საქწყალკანალი"-ს შპს „თბილისის წყალი"-ს 100% წილის ნასყიდობის 2008 წლის 14 მაისის ხელშეკრულებაზე, რომელიც მოსარჩელის მიერ სასამართლოს მთავარ სხდომაზე იქნა წარდგენილი და რომელიც შეიცავს გარემოსდაცვით ინფორმაციას თანახმად „გარემოსდაცვით საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" (ორჰუსის) კონვენციის მე-2 მუხლისა;

3.3. აპელანტის მითითებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეულია სზაკ-ის 27-ე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილის მოთხოვნები, ვინაიდან გადაწყვეტილება მიღებულია კანონით დადგენილი 10 დღიანი ვადის დარღვევით;

3.4. აპელანტი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივ საფუძვლად უთითებს სზაკ-ის 42-ე მუხლის „ა" პუნქტზე, 37-ე, მე-40 მუხლებსა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17.1. მუხლზე;

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება

4.1 სააპელაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტება, შეამოწმა გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, თვლის, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

პალატა თვლის, რომ სააპელაციო საჩივრებში მითითებული გარემოებები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

ფაქტობრივი დასაბუთება:

4.2 სააპელაციო პალატა ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მათზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ 2008 წლის 14 მაისს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედ"-ს შორის დაიდო შპს „რუსთავწყალკანალის" 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის" 100% წილის, შპს „საქწყალკანალის" 100% წილისა და შპს „თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 16 ივნისის №21/875/1-8 წერილით, ქ. თბილისის მთავრობისგან და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედ"-ისგან, ნასყიდობის ხელშეკრულების 14.1 მუხლის შესაბამისად, გამოთხოვილ იქნა მათი მოსაზრება აღნიშნული ხელშეკრულების ქსეროასლის გაცემის თაობაზე; **2009 წლის 22**

დეკემბერს გაფორმდა შეთანხმება №1 შპს „რუსთავწყალკანალის" შპს „მცხეთა წყალკანალი"-ს შპს „თბილისის წყალი"-ს 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულებაში დამატებითი განმარტებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც წარმოდგენს 2008 წლის 14 მაისის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს; აღნიშნულ შეთანხმებაში, შეტანილი იქნა 12.4. მუხლი, რომლის თანახმადაც ინფორმაცია, წინადადებები და შეთანხმებები, რომლებიც მოცემულია ამ დოკუმენტებში ითვლება კონფიდენციალურად და შესაბამისად, მეორე მხარეს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არა აქვს უფლება გასცეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება წინამდებარე შეთანხმებას;

მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება მოიცავს მეწარმე სუბიექტების ფინანსურ ვალდებულებებს, რაც მათ კომერციულ ინტერესებს უკავშირდება და შესაბამისად, ხელშეკრულებაზე ინფორმაციის გაცემის კანონისმიერი ვალდებულება სამინისტროს არ გააჩნია ;

სამართლებრივი საფუძვლები

4.3. საქართველოში ინფორმაციის გაცემის წესსა და სამართლებრივ საფუძვლებს არეგულირებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავი. ინფორმაციის გაცემის თავისუფლება არ ატარებს უპირობო ხასიათს, ვინაიდან გარკვეული იმპერატიული დათქმების გამო იგი განსაზღვრულ სამართლებრივ ჩარჩოშია მოქცეული. მოცემულ შემთხვევაში, პალატა მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურთიერთობის არსებითად სწორად გადაწყვეტა დაკავშირებულია დავის არსიდან გამომდინარე, კომერციული და საჯარო ინფორმაციის განსაზღვრებასთან, ვინაიდან სწორედ ამ უკანასკნელის ანალიზი განაპირობებს სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებას;

4.4. ადმინისტრაციული პალატა ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27[2] მუხლზე და მის საფუძველზე განმარტავს, რომ კანონმდებლის მიერ, კომერციულ საიდუმლოებად მიჩნეულია ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. ამა თუ იმ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა გამორიცხავს მის საჯარო ინფორმაციად განხილვას იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ მისმა გამჟღავნებამ შესაძლოა გამოიწვიოს პირის კონკურენტუნარიონობისათვის ზიანის მიყენება.

4.5. სააპელაციო პალატა ამავე კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, განმარტავს, რომ საჯარო ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველასთვის გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა; ზემოთ დასახელებული მუხლების ანალიზის საფუძველზე, სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია, „მწვანე ალტერნატივა"-ს აპელირება მასზედ, რომ ხელშეკრულების 14.1. მუხლი დანაწესით გათვალისწინებულია მხარეთა წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე განცხადების გაკეთების უფლების შეზღუდვა წილის ნასყიდობის ან წილის ნასყიდობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რაც არ ნიშნავს იმას, რომ მთელი ხელშეკრულება კომერციული საიდუმლოებაა; აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგოდ პალატა მიუთითებს, რომ ზემოთ დასახელებული ნორმა უფრო ფართოდ უნდა იქნეს განმარტებული, ვინაიდან ნებისმიერი დაკავშირებული საკითხი გულისხმობს ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს მთლიანად და არ მოიცავს მხოლოდ წილის ნასყიდობას;

4.6. ამასთან, სააპელაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს აპელანტის მითითებას მასზედ, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია „გარემოსდაცვით საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" (ორჰუსის) კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, საჯაროა და შესაბამისად ხელმისაწვდომი. აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგოდ პალატა განმარტავს, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეეხება გარემოს დაცვით საკითხებს იგი მოიცავს კომერციული წილების გასხვისების სფეროს, მეწარმე სუბიექტების მიერ განხორციელებულ ფინანსურ ვალდებულებებს და მისი გაცემის კანონისმიერი ვალდებულება სცდება სამინისტროს კომპეტენციის სფეროს, ამასთან, ვინაიდან 2008 წლის 14 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულება, დანართებით და 2009 წლის 22 დეკემბრის შეთანხმება შეიცავს კომერციულ საიდუმლოებას, ხოლო ხელშეკრულების 14.1. და 12.4. მუხლების დანაწესიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ აიღო ვალდებულება არ გასცეს აღნიშნული ინფორმაცია სხვა მხარეების წერილობითი თანხმობის გაცემის გარეშე მიუთითებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უარის კანონიერებაზე და აღნიშნული საფუძვლით გამორიცხავს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივ შესაძლებლობას;

4.7. აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა დაუსაბუთებლად მიიჩნევს, აპელანტის მოთხოვნას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის საჯარო ინფორმაციის გამოცემის დავალდებულების თაობაზე, ვინაიდან აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებირივი საფუძველი გვექნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარით აპელანტს უკანონოდ მიადგებოდა პირდაპირი და უშუალო ზიანი; მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მხარემ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, სათანადოდ ვერ მოახდინა მტკიცების ტვირთის რეალიზება, შესაბამისად, მოთხოვნა დაუსაბუთებელია და ვერ გახდება მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი;

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

სააპელაციო სასამართლოს ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება კანონიერია, სააპელაციო საჩივრით ვერ იქნა გაქარწყლებული სასამართლოს დასკვნები და მოტივაცია სადავო სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით, რის გამოც, მოთხოვნა დაუსაბუთებელია და არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი წინაპირობები;

6. საპროცესო ხარჯები

ვინაიდან, აპელანტების მიერ სახელმწიფო ბაჟი გადახდილია წინასწარ და სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად არ არსებობს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟის განაწილების სამართლებრივი საფუძვლები;

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა”-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 09 ივლისის გადაწყვეტილება.

3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32, მხარეთათვის დასაბუთებული განჩინების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით (თბილისი, გრ. რობაქიძის ქ.№7ა).

თავმჯდომარე:	ქეთევან დუგლაძე
მოსამართლეები:	მერაბ ლომიძე
	ლეილა მამულაშვილი